

საქართველოს კანონი

“სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ”
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ” საქართველოს კანონში (სსმ, 2005 წ., №56, მუხ.433) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის “ე” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ე) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის იმ თანამდებობიდან განთავისუფლებულ პირებს, რომელი თანამდებობებიც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით;”

2. მე-8 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 8. სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა კომპენსაციის გაანგარიშება.”.

3. მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3. ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმები აგრეთვე ვრცელდება ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის იმ თანამდებობიდან განთავისუფლებულ პირებზე, რომელი თანამდებობებიც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით, თუ მათ აქვთ ნამსახურობის არანაკლებ 20 კალენდარული წელი (მათ შორის, არანაკლებ 2 წელი ფინანსურ პოლიციაში და/ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საგადასახადო/საბაჟო ორგანოების თანამდებობზე). საგადასახადო/საბაჟო ორგანოებში ნამსახურობის მიზნებისათვის გათვალისწინებული იქნება მხოლოდ 2007 წლის 1 იანვრიდან ნამსახურები წლები.”

4. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის იმ თანამდებობის პირების, რომელი თანამდებობებიც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით, გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობაა ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპენსაციის 75%, მიუხედავად გარდაცვლილის მიერ ამ კანონით დადგენილი კომპენსაციის მიღების უფლების მოპოვებისა. ამასთანავე, გარდაცვლილის ნამსახურობის მინიმალური სტაჟი უთანაბრდება 20 წელს. კომპენსაცია ენიშნებათ გარდაცვლილის შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე და მის შრომისუნარო მეუღლეს.”

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს ფინანსური პოლიციის, საგადასახადო დეპარტამენტისა და საბაჟო დეპარტამენტის გაერთიანებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი